ნიუ-იორკში ჩრდილოეთ ამერიკის ანტიოქიის სამთავარეპისკოპოსოს წინამძღვრის ინტრონიზაცია შედგა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.15.2023. 13 მაისს ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში მდებარე ანტიოქიის საპატრიარქოს წმინდა ნიკოლოზის ტაძარში აშშ-სა და კანადაში ანტიოქიის სამთავარეპისკოპოსოს ახლად არჩეული წინამძღვრის, მიტროპოლიტ საბას ინტრონიზაცია შედგა.

იგი აირჩიეს ჩრდილოეთ ამერიკის თვითმმართველი ანტიოქიის მართლმადიდებელი სამთავარეპისკოპოსოს წინამძღვრად, ტიტულით „ნიუ-იორკის მთავარეპისკოპოსი და სრულიად ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტი" ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე, რომელიც 2023 წლის 23 თებერვალს ბალამანდში (ლიბანი) გაიმართა.

შეერთებულ შტატებში საპატრიარქო სამრევლოების ვებსაიტის **ცნობით,** აღსაყდრების ცერემონია სამადლობელი პარაკლისით დაიწყო, რის შემდეგაც მეუფე საბას მიტროპოლიტის კვერთხი გადასცეს, ხოლო ანტიოქიის პატრიარქის ვიკარიუსმა, ზახლეისა და ბაალბეკის მიტროპოლიტმა ანტონიმ, რომელიც დროებით განაგებს ჩრდილოეთ ამერიკის სამთავარეპისკოპოსოს მისი მეთაურის არჩევამდე, გამოაქვეყნა დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარესი პატრიარქის იოანე X-ის მიმართვა. შემდეგ ზეიმში მონაწილე სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელთმთავართა მისასალმებელი სიტყვები გაჟღერდა.

მოსკოვიდან ჩამოსულმა ანტიოქიის პატრიარქის მრავალწლიანმა წარმომადგენელმა მოსკოვის საპატრიარქო საყდართან, ფილიპოპოლის მიტროპოლიტმა ნიფონმა გასაჯაროვა **მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისალოცი გზავნილი** ჩრდილოეთ ამერიკაში ანტიოქიის სამთავარეპისკოპოსოს ახლად არჩეული მეთაურისადმი. ინტრონიზაციის შემდეგ გამართულ საზეიმო ტრაპეზზე, მიტროპოლიტმა ნიფონმა უწმინდესი პატრიარქის კირილეს სახელით მიტროპოლიტ საბას სამახსოვრო საჩუქარი – ეპისკოპოსის პანაღია და სამკერდე ჯვარი – გადასცა.

აშშ-ს საპატრიარქო სამრევლოებიდან ზეიმს ესწრებოდნენ საპატრიარქო სამრევლოების კანცლერი, ნიუ-იორკის წმინდა ნიკოლოზის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი იგორ ვიჟანოვი და ვიცე-კანცლერი –წმინდა ნიკოლოზის ტაძრის კლირიკოსი, მღვდელი მარკოზ რაშკოვი. მათ მიტროპოლიტ საბას მილოცვა გადასცეს აშშ-ში საპატრიარქო სამრევლოების დროებითი მმართველის, სუროჟის ეპისკოპოს მათესგან.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90339/